ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს 16:00 საათზე კანონმდებლობით დადგენილი წესით სამგორის რაიონში ანგარიში წარვადგინე მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 88-ე მუხლის შესაბამისად, საჯაროდ გამოცხადებისათვის წარმოგიდგენთ ჩემს მიერ, მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებისთვის წარდგენილ ანგარიშს.

დანართი: 20 ფურცელი

პატივისცემით,
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი

ლია ჯახველაძე

21

№10/18520 02.11.15.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ლია ჯახველაძის

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

  2015 წლის იანვრიდან ოქტომბრის თვის ჩათვლით ჩატარდა საკრებულოს 25 და საკრებულოს ბიუროს 39 სხდომა. საკრებულოს სხდომაზე მიღებული იქნა 101 დადგენილება და 380 განკარგულება.

  საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა გარემოს დაცვის კომისიის 26 სხდომა, საიდანაც დავესწარი კომისიის 22 სხდომას, საპატიო მიზეზით გაცდენილი მაქვს კომისიის 4 სხდომა. გარემოს დაცვის კომისიის მიერ 2015 წლის 10 თვის განმავლობაში განხილული იქნა 58 საკითხი, აქედან ვმონაწილეობდი 51 საკითხის შესწავლის პროცესში. როგორც გარემოს დაცვის კომისიის წევრმა ცალკეული საკითხების შესწავლის მიზნით მონაწილეობა მივიღე ცხოველთა მოვლა-პატრონობის საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს-2; ცხოველთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებულ-1; გარემოს პროფილის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებულ 1 შეხვედრაში.

  ინფორმაციის დამუშავების პერიოდისთვის ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 12 სხდომა, განხილული იქნა 103 საკითხი.

შესწავლილი საკითხები:

22 იანვარი, 2015 წელი. გაფართოებული სხდომა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის, სსიპ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად.

1. მოხსენება განვლილი საქმიანობის, სამომავლო გეგმების და გამოვლენილი სარვეზების შესახებ.
2. კეთილმოწყობის სამსახურის მოხსენება გაწეული საქმიანობის და 2015 წლის გეგმების შესახებ.
3. არქიტექტურის სამსახურის ინფორმაციის მოსმენა ქუჩათა ქსელების და ინტერაქტიულ რუკზე (tas.ge) ქუჩების დატანასთან დაკავშირებით.
4. ტრანსპორტის სამსახურის ინფორმაცია მუნიციპალური ტრანსპორტის მარშრუტის აბრებზე ინფორმაციის განახლების ინტენსივობის და გაჩერებების სახელდების საჭიროების შესახებ.
5. სამისამრთო სამსახურის პოზიციის მოსმენა სინქრონული თანამშრომლობისთვის და აუცილებელი გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

20 თებერვალი, 2015 წელი.

სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე სევდია უგრეხელიძე.

1.სახელდების წესის მიღებასთან დაკავშირებითკომისიის წევრების ინფორმირება

2. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდთან დადებული მემორანდუმის ფარგლებში პირველი 5 ინიციატივის განხილვა(ტერიტორიის დასახელება, შერჩეულ ქალთა სახელები)

3.კომისიის სახელზე შემოსული განცხადებების განხილვა, სადაც ქუჩებისთვის კონკრეტული პიროვნებების სახელის მინიჭებაზეა საუბარი.

4.სახელდება განსახორციელებელი უსახელო ტერიტორიების განხილვა (შემოსული განცხადებები).

5.ქალაქის თანამედროვე და სისტემური სახელდებისთვის იმ ტერიტორიების ჩამონათვალი, რომლისთვისაც შესაძლებელია ქსელების გასწორება ან სახელების შეცვლა (შეცვლა შეუსაბამო ან ცუდი ჟღერადობის სახელის შემთხვევაში).

6. დაბა კოჯორში რამდენიმე ქუჩის სახელის ცვლილება.

27 თებერვალი, 2015 წელი.

სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად.

1. არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად თხინვალას, აგარას, ძველი ვეძისის ტერიტორიებზე ქუჩათა ქსელების მომზადება.
2. არქიტეტქურის სამსახურის წარმომადგენლებისათვის ადგილზე დასათვალიერებელი ქუჩების ჩამონათვალის გაცნობა.
3. სახელდება განსახორციელებელი ქუჩებისათვის სახელების შერჩევა და ტოპოგრაფიული მასალის მოსამზადებლად არქიტექტურის სამსახურისათვის გადაცემა.

16 მარტი, 2015 წელი. გაერთიანებული სხდომა.

იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეთო, სარევიზიო, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, გარემოს დაცვის, განათლებისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიებთან ერთად

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ (ვიცე-მერი) დიმიტრი ქუმსიშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ ირაკლი ლექვინაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსად პაატა ჯაჭვლიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსად გიორგი გურგენიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლად ლაშა აბაშიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

7 აპრილი, 2015 წელი. გაფართოებული სხდომა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის, სსიპ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად.

სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე გოჩა ბაბუნაშვილი, ფრაქცია „ ქართული ოცნება-კონსერვატორების" თავმჯდომარე დავით უთმელიძე, გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე შორენა ბუხრაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ქეთევან ჯოხაძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"- თავმჯდომარე სევდია უგრეხელიძე.

1. სახელდებისა და თბილისის სიმბოლოების გამოყენების წესების მიღებასთან დაკავშირებული საკითხი.
2. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდთან დადებული მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა.
3. სამისამართო აბრების დიზაინთან და აბრების განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები.
4. ქ. თბილისის ქუჩების ცნობარის გამოცემის საკითხი.
5. მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერებების სახელდების საკითხი.

29 მაისი, 2015 წელი

1. სახელდების წესის მიღების საკითხი და შემდგომი პროცედურები

2. ქუჩების ცნობარის გამოცემასთან დაკავშირებით მიმდინარე ღონისძიებების მიმოხილვა

3. სამისამართო აბრების დიზაინის კონკურსის გამოცხადების საკითხი და ვადები

4. კომისიაში შემოსულ განსახილველ საკითხებზე მოხსენება

5. ვარდების ბაღისთვის (ყოფილი გორკის ბაღი) ისტორიული სახელის „ფანტაზია"-ს სახელის მინიჭების საკითხი (ჩუღურეთის რაიონი).

6. ამერიკის საელჩოს მიმდებარედ არსებული ოლიმპიური კომპლექსისთვის ოლიმპიური პარკის სახელის მინიჭების საკითხი(საბურთალოს რაიონი).

7. იბრაჰიმ ისფაჰანლის ქუჩისთვის სახელის შეცვლის საკითხი(კრწანისის რაიონი).

8. შ.პ.ს „ ახალი დიღმის" (ე.წ კამპუსი) მიერ აშენებული დასახლების სახელდების საკითხი (საბურთალოს რაიონი).

9. აკადემქალაქის მიმდებარედ რომელიმე ქუჩისთვის ზურაბ საკანდელიძის სახელის მინიჭების საკითხი (საბურთალოს რაიონი).

10. ერთ-ერთი ქუჩისათვის გიზო ნიშნიანიძის სახელის მინიჭების საკითხი (მთაწმინდა, ვერა).

11. გიორგი ძოწენიძის ქუჩისათვის რამაზ ჩხიკვაძის სახელის მინიჭების საკითხი

12. დაბა წყნეთში ქედქეთების ქუჩისათვის სოფიკო ჭიაურელის სახელის მინიჭების შესახებ საკითხი.

13. ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორის ქუჩისათვის (დიდი დიღომი) სახელის გადარქმევის საკითხი.

14. ერთ-ერთი ქუჩისათვის (ნაძალადევის რაიონი) მიხეილ კეკელიძის სახელის მინიჭების საკითხი.

15. ერთ-ერთი ქუჩისთვის გოგოთურ აგლაძის სახელის მინიჭების საკითხი.

11 ივნისი, 2015 წელი

1. სახელდებული ობიექტებისათვის საფოსტო ინდექსების მინიჭების საკითხი.

2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი) მე-9 მუხლის საფუძველზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დამატებითი რეგულაციების განსაზღვრის საკითხი.

3. ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი აბრების დიზაინის გამოსავლენი კონკურსის ჩატარების წესის საკითხის განხილვა.

4. თბილისის საერთაშორისო აეროპორტისათვის რუსთაველის სახელის მინიჭების საკითხი.

23 ივნისი, 2015 წელი

საბურთალოს რაიონში, ქართულ-ამერიკული მეგობრობის გამზირის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე სკვერისთვის მოხალისეთა სახელის მინიჭების საკითხი.

29 ივნისი, 2015 წელი. გაერთიანებული სხდომა.

სახელდებისა და სიმბოლიკის, განათლებისა და კულტურის კომისიების და განათლების და კულტურის კომისიასთან არსებული სათათბიროს წევრებთან ერთად.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის სახელის მინიჭების შესახებ.

13 ივლისი, 2015 წელი

1. რიგი ქუჩებისთვის სატრანსპორტო ფუნქციური ზონის სტატუსის მინიჭების აუცილებლობის საკითხი.
2. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდთან დადებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სახელდებულ ქუჩებზე სამისამართო აბრების განთავსების საკითხი და თანამშრომლობის შემდგომი ნაბიჯები.
3. ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი აბრების დიზაინის გამოსავლენი კონკურსის საკონკურსო კომისიის შემადგენლობის და კონკურსის ჩატარების ვადების შესახებ.
4. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ დაბა კოჯრის დასახლებაში ალექსანდრე ჩხეიძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ხუთი ჩიხისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ დაბა კოჯრის დასახლებაში გიორგი ოდიშელიძის ქუჩისთვის გრიგოლ ორბელიანის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ დაბა კოჯრის დასახლებაში ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩისთვის ნიკოლოზ თევზაძის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ დაბა კოჯრის დასახლებაში გრიგოლ ორბელიანის ქუჩისთვის გიორგი კაჭახიძის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ დაბა კოჯრის დასახლებაში სატყეოს ქუჩისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და შესახვევისთვის ალექსანდრე ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ დაბა კოჯრის დასახლებაში სკოლის ქუჩისთვის გიორგი ოდიშელიძის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ დაბა კოჯრის დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის ბიოლის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზაცკეცილთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის გარდაბნის გზატკეცილის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, რაფიელ აგლაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გრიგოლ გიორგაძის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, მელიქ-სურხავის ქუჩისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და გასასვლელისთვის ოთხი ათასი მესხის სახელის მინიჭების შესახებ
14. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის II ქუჩისთვის და მასთან არსებული გასასვლელისთვის იოველ ჯეგაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

15. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ქეთევან მაღალაშვილის ქუჩასთან არსებული შესახვევისთვის და გასასვლელისთვის ქეთევან მაღალაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
16. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზურა მირაქიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
17. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის შალვა კარმელის სახელის მინიჭების შესახებ
18. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დავით აღმაშენებლის მე-13 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ორი ჩიხისთვის და გასასვლელისთვის გივი კვიჭიძის სახელის მინიჭების შესახებ
19. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, სამრეწველო დასახლების I ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი ჩიხისთვის ბესიკ გეთია სახელის მინიჭების შესახებ
20. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, სამრეწველო დასახლების II ქუჩისთვის და მასთან არსებული ექვსი ჩიხისთვის პაატა ჯანელიძე სახელის მინიჭების შესახებ
21. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. დიღომი 7-ში წებელდის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის სიხარულის სახელის მინიჭების შესახებ
22. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. დიღომი 7-ში მდებარე უსახელო ქუჩისთვის წებელდის სახელის მინიჭების შესახებ
23. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, წყაროთუბნის ქუჩასთან არსებული შესახვევისთვის წყაროთუბნის სახელის მინიჭების შესახებ
24. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ნინო ჟვანიას ქუჩის გაგრძელების შესახებ
25. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. წავკისში, ე.წ. წავკისის ველის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების გაგრძელების შესახებ
26. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ვარდების ბაღისთვის ილიას ბაღის სახელის მინიჭების შესახებ
27. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქართულ - ამერიკული მეგობრობის გამზირის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე სკვერისთვის მოხალისეთა სახელის მინიჭების შესახებ
28. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ოლიმპიური ცენტრის ტერიტორიისთვის ოლიმპიური პარკის სახელის მინიჭების შესახებ.
29. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში გიორგი ძოწენიძის ქუჩისთვის რამაზ ჩხიკვაძის სახელის მინიჭების შესახებ.
30. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, რამაზ ჩხიკვაძის ქუჩისთვის ლიზიკო ქავთარაძის სახელის მინიჭების შესახებ.

15 სექტემბერი, 2015 წელი

1. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირთან მდებარე სკვერისთვის ალექსანდრე ქართველის სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ქედქეთების ქუჩისთვის სოფიკო ჭიაურელის სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, იგოთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული სამი გასასვლელისთვის და ორი ჩიხისთვის შალვა ლოლაძის სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სამამულო ომის გმირების ქუჩასთან მდებარე სკვერისთვის დათო კრაწაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
5. „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე. წ. დიღომი 7-ში მდებარე უსახელო ქუჩისთვის წებელდის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ივლისის N291 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
6. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. დოღომი 7-ში, ეგრისის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, ლეიტენანტ ტარიელ გვიმრაძის სახელის მინიჭების შესახებ.
7. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, მიხეილ ცისკარიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის დიპლომატის, მხატვრის და მწერლის ტიმოთე გაბაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში, იოსებ ასლანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ფტიზიატრის იოსებ აბაკელიას სახელის მინიჭების შესახებ.
9. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ. ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩის გაგრძელებისა და მასთან არსებული შესახვევისთვის ბათუმის სახელის მინიჭების შესახებ.
10. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში თამაზ ნადარეიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის ილია აბულაძის სახელის მინიჭების შესახებ.
11. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ. ფონიჭალაში, უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის გამომცემლის რომანოზ რაზმაძის სახელის მინიჭების შესახებ.
12. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, დიდუბის V შესახვევისთვის ფოლკლორისტის, მომღერლის, სულიკო კოროშინაძის სახელის მინიჭების შესახებ.
13. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. ტაბახმელაში, ამაღლების ქუჩასთან არსებული გასასვლელისთვის ამაღლების სახელის მინიჭების შესახებ.

14. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გრიგოლ აფშინაშვილის ქუჩისთვის და მასთან არსებული I ჩიხისთვის ეთნოგრაფის, ფოტოხელოვანის დიმიტრი ერმაკოვის სახელის მინიჭების შესახებ.
15. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ე.წ. ივერთუბანში, ზაქარია ჯორჯაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ბარაკონის სახელის მინიჭების შესახებ.
16. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან მდებარე სპორტული მოედნისთვის აფხაზეთის ომში დაღუპულის, პოლიციის მაიორის ზურაბ ალთუნაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
17. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიასთან უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ექიმის, პროფესორის სპირიდონ ვირსალაძის სახელის მინიჭების შესახებ.
18. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ე.წ. ივერთუბანში, ნიკოლოზ აგიაშვილის ქუჩასთან არსებული ორი შესახვევისთვის ნიკოლოზ აგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
19. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ჯემალ აჯიაშვილის ქუჩასთან მდებარე აღმართისთვის პოეტის დათა გულუას სახელის მინიჭების შესახებ.

1 ოქტომბერი, 2015 წელი

1. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ერეკლე ტატიშვილის ქუჩისთვის ირაკლი ციციშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯრის ქუჩისთვის შოთა ნიშნიანიძის სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორის ქუჩისთვის სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქ. თბილისში ერთ-ერთი ქუჩისთვის ეთერ კაკულიას სახელის მინიჭების შესახებ.
5. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ერთ-ერთი ქუჩისთვის ლეოპოლდ ბილფელდის სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში თბილისის ზღვის სანაპიროსთვის სახელის მინიჭების შესახებ.
7. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, უიარაღოს ქუჩის მონაკვეთისთვის ქუჩისთვის მიხეილ კეკელიძის სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლარსის ქუჩის შესახვევისთვის რეზო ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ.

9. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში,ბერბუკის ქუჩისთვის ზურაბ საკანდელიძის სახელის მინიჭების შესახებ.

2015 ის განმავლობაში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ დაწყებული მნიშვნელოვანი პროექტები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. სახელდების წესის მიღება

როგორც ცნობილია,თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცება საქართველოს მთავრობის კომპეტენცია გახდა, თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ მანამდე მოქმედმა, თბილისის საკრებულოს დამტკიცებულმა სახელდების წესმა ძალა დაკარგა. ვინაიდან იანვრის თვიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო სახელდებას ვერ ახორციელებდა, ხოლო მოქალაქეთა მოთხოვნებზე ვერ ხდებოდა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება კანონით დადგენილ ვადებში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ძალისხმევით განხორციელდა კონკრეტული შეხვედრები საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, ერთობლივი მუშაობის შედეგად მომზადდა სახელდების ახალი წესი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ის ნიუანსი, რისი აუცილებლობის წინაშეც თბილისის საკრებულო იდგა და თვითმმართველობის კოდექსის 165 მუხლის 1 პუნქტის ა ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს მთავრობამ 1 ივნისს დადგენილებით მოახდინა წესის დამტკიცება. მთავრობის დადგენილებიდან უმოკლეს ვადაში 15 ივნისს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ მომზადებული სახელდების ახალი წესი საკრებულოს მიერ იქნა დამტკიცებული.

2. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიურ ბიუროსთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება.

ცნობილია, თუ რამდენად აქტიურადაა ჩართული ქართული სახელმწიფო გენდერული პრობლემების მოგვარების საკითში და რაოდენ მასშტაბური ღონისძიებები იმართება ქვეყანაში, ბუნებრივია გენდერულად სენსიტიური თემების მიმართ გულგრილი არც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოა და აქტიურადაა ჩართული საერთო სახელმწიფოებრივი ხედვის გატარებაში.

2015 წლის დასაწყისში საკრებულოსა და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიურ ბიუროს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში 50 ქუჩისათვის 50 გამოჩენილი ქართველი ქალის სახელის მინიჭებას,

მემორანდუმის ფარგლებში დაიგეგმება და ჩატარდება კონკრეტული ღონისძიებები 2015-2016 წლის მანძილზე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 11 ქუჩას უკვე მიენიჭა ფონდთან ერთად შერჩეული სახელი და ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხსენებული 11 ქალის ბიოგრაფიული მონაცემების აბრებზე დატანა, რომლებიც განთავსდება თვითოეული ქუჩის დასაწყისში.

3. გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი აბრების დიზაინის გამოსავლენი კონკურსის ჩატარება

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ შეისწავლა ქალაქში აბრების განთავსების მიზნით გასულ წლებში განხორციელებული სამუშაობი, შესწავლის შედეგად გამოიკვეთა რიგი ხარვეზები(აბრების დიზაინი არაა დადგენილი და სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი აბრის დიზაინის დადგენა ხდება სპონტანურად, ერთმანეთისგან პრაქტიკულად არაფრით განსხვავდება თბილისის ისტორიულ და დანარჩენ ნაწილში განთავსებული აბრები ერთმანეთისაგან, აბრების და შრიფტის ზომების აღქმა რიგ შემთხვევებში შეუძლებელია როგორც სატრანსპორტო საშუალებიდან ასევე ქუჩის მოპირდაპირე ნაწილიდან, საღამოს და ღამის საათებში აბრის გარჩევა სანათი მოწყობილობის გარეშე შეუძლებელია, ხშირ შემთხვევებში დარღვეულია აბრის წარწერის ლათინურენოვანი ტრანსლიტერაციის წესი, ასევე დაშვებულია გრამატიკული შეცდომები), რომელთა გამოსწორების გარეშე აბრების განთავსების პროცესის გაგრძელება იქნება ფუჭად დახარჯული მატერიალური სახსრები.

ხსენებული პრობლემების მნიშვნელოვანწილად აღმოფხვრის მიზნით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით გამოცხადდა აბრების დიზაინის შესარჩევი კონკურსი, საანგარიშო პერიოდისათვის მიმდინარეობს კონკურსში მონაწილე მსურველთა ელექტრონული განაცხადების მიღების პროცესი.

4. ქუჩების უახლესი ცნობარის საკრებულოს ეგიდით გამოცემა.

როგორც ცნობილია, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია, როგორც მუდმივმოქმედი კომისია თბილისის საკრებულოში 2010 წელს ჩამოყალიბდა, ამ პერიოდის განმავლობაში სახელდებული გეოგრაფიული ობიექტების რაოდენობამ 2000-ს გადააჭარბა, 2010 წლის შემდომ მოხდა ქალაქის ადმინისტრაციული საზღვრების მნიშვნელოვანი გაფართოება, თბილისის მოსაზღვრე მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში არსებული სოფლების თბილისზე შემოერთების სარჯზე, რამაც თბილისში გააჩინა უამრავი ახალი გეოგრაფიული ობიექტი.

ბოლო ქუჩების ცნობარი, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ძალისხმევით და ფონდ „ქართუ" ს ფინანსური დასმარებით გამოიცა დაბეჭდილია 2008 წელს.

დღეის მდგომარეობით ქალაქში არ არსებობს უახლესი აკადემიური გამოცემა, რომელშიც ერთად იქნება თავმოყრილი ინფორმაცია ყველა გეოგრაფიული ობიექტის შესახებ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს ახალ ქუჩების ცნობარში შესატანი ინფორმაციის დამუშავება. იგეგმება ცნობარის საკრებულოს ინიციატივით გამოიცემა.

5. რიგ უბნებში ქუჩათა შესაბამისი ქსელების მოწყობა.

ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მრავლადაა იმ დასახლებების ჩამონათვალი, სადაც ქუჩათა ქსელები ან არაა მოწყობილი და არსებული სტანდარტების შესაბამისად დახაზული ან ქსელი მოწყობილია და სახელდება არაა განხორციელებული. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, კომისიამ არქიტექტურის სამსახურის ჩართულობით დაამუშავა რიგ უბნებში ქსელების მოწყობის და სახელდების პერსპექტივები, შესაძლოა ითქვას, რომ უახლოეს სხდომებზე პრაქტიკულად დამთავრდება სახელდება და ქსელების მოწყობა წინა მოწვევის საკრებულოს მიერ დაწყებულ უბნებში: (ზემო ვეძისის დასახლება; სანერგე მეურნეობის დასახლება, ე.წ. ავშნის დასახლება; ივერთუბნის დასახლება; დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისია აქტიურად მუშაობს სოფლების: თხინვალა და აგარაკის ქსელებსა და სახელდებაზე, სადაც აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით არცერთი ქუჩა სახელდებული არაა.

6. მუნიციპალური ტრანსპორტის მარშრუტის აღმნიშვნელ დაფებზე გეოგრაფიული ობიექტების ძველი დასახელებების ახლით ჩანაცვლება.

დაკვირვებული თვალისთვის ალბათ შეუმჩნეველი არ დარჩება, რომ ქალაქში მრავლად მოძრაობს მუნიციპალური ტრანსპორტი, რომელთა მარშრუტის აღმნიშვნელ ფირნიშებზე კვლავ ძველი სახელებია დატანილი (მაგ: კოლმეურნეობის მოედანი (ახლანდელი გრ. ორბელიანის მოედანი) ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან შესაბამისი კონსულტაციების შემდგომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ დეტალურად მოამზადა სახელშეცვლილ ობიექტთა შესახებ ინფორმაცია და გადასცა შესაბამის სამსახურს, რამდენადაც ინფორმირებულია კომისია ტრანსპორტის სამსახური მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ანახლებს მარშრუტის აღმნიშვნელ დაფებზე დატანილ ინფორმაციას.

7. ახალსახელდებული ქუჩების და თბილისზე შემოერთებული ტერიტორიების საფოსტო ინდექსაცია

სამწუხაროდ ქალაქში დღემდე მნიშვნელოვან პრობლემად და გამოწვევად რჩება მთელი რიგი გეოგრაფიული ობიექტების საფოსტო ინდექსების მინიჭების საკითხი, ათასობითა იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომელთაც ინდექსი არ აქვთ მინიჭებული. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით გაიმართა სამუშაო ხასიათის შეხვედრა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და საქართველოს ფოსტის წარმომადგენლების მონაწილეობით, შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული იმ სამუშაოს მოცულობა, რომლის შესრულებაც საჭიროა ინდექსაციის პროცესის წარმატებით განსახორციელებლად. კომისია უახლოეს მომავალში გეგმავს ხსენებული ღონისძიების ჩატარების მიზნით გააგრძელოს შეხვედრები საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

8. მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერებების სახელდების პერსპექტივები.

ქალაქის მასშტაბით პრაქტიკულად არცერთი მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერება სახელდებული არაა, კომისიის მიერ საკითხი ინიციატივის დონეზე განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, რომელსაც ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ინიციატივამ თავიდანვე განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა, ხსენებული ინიციატივის სისრულეში მოყვანა მნიშვნელოვანია როგორც ტრანსპორტის სამსახურისათვის ასევე ქალაქის მაცხოვრებელთათვის და ვიზიტორთათვის. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ხსენებული ინიციატივის განხილვას სამუშაო ფორმატში გააგრძელებს.

9. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის და კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის სინქრონული თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

როგორც ცნობილია, სახელდებულ გეოგრაფიულ ობიექტებზე საკადასტრო ერთეულების ნუმერაციას ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახური, ხოლო სახელდებულ და გადანომვრულ ობიექტებზე სამისამართო აბრების განთავსებას უზრუნველყობს კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური. ვინაიდან წარსულში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც კეთილმოწყობის სამსახურის მიერ სამისამართო სამსახურის გადაწყვეტილების გარეშე ხდებოდა საკადასტრო ერთეულისათვის განკუთვნილ აბრაზე ნომრის დაწერა ხშირად შეცდომით დაიტანებოდა ხსენებული ნომერი. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით რამდენიმე შეხვედრა გაიმართა ჩამოთვლილი უწყებების მონაწილეობით, მხარეების მიერ მიღებული იქნა

გადაწყვეტილება, რომ კეთილმოწყობის სამსახური არ განათავსებს აბრებს ისეთ ობიექტებზე, სადაც კანონით დადგენილი წესით არ იქნება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი გადაწყვეტილება სისტემური ნუმერაციის შესახებ.

10. ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების აღწერა და შესაბამისი სტატუსების მინიჭება.

ქალაქში დღეის მდგომარეობით არცერთი ქუჩა აღწერილი და რეგისტრირებული არაა, ასევე მრავლადაა ისეთი ქუჩები, რომელთაც მინიჭებული არ აქვთ შესაბამისი სატრანსპოტრო ზონის სტატუსი, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ საანგარიშო პერიოდში სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მიაწოდა რამდენიმე ათეული ქუჩის შესახებ ინფორმაცია, სადაც უნდა განხორციელებს შესაბამისი ფუნქციური ზონის სტატუსის მინიჭება, ხსენებული ინიციატივები განხილული იქნა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ და უახლოეს პერიოდში წარმოდგენილი იქნება საკრებულოში შესაბამისი გადაწყვეტილების დასამტკიცებლად.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში შემოსულია 391 განცხადება. აქედან შესაბამისი რეაგირება მოხდა 258 განცხადებაზე, 133 წერილზე კი მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საკითხები მზადდება საკრებულოს სხდომაზე ინიცირებისათვის.

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად საკრებულოს წინაშე ინიცირებული იყო 85 განკარგულების პროექტი, რომელთა მიღების შემდგომაც სახელი მიენიჭა 85 გეოგრაფიულ ობიექტს. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ასევე

ინიცირებული და მიღებულია ორი დადგენილება (გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი; ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი აბრების დიზაინის შესარჩევი კონკურსის ჩატარების შესახებ საკრებულოს დადგენილება)

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

2015 წლის იანვრიდან - ოქტომბრამდე სამაჟორიტარო ოფისში დახმარების მიზნით მოგვმართა 2257 მოქალაქემ, რომელთაც გაეწიათ შესაბამისი კონსულტაცია. მოქალაქეების დახმარების მიზნით სხვადასხვა სამსახურებში გაიგზავნა მაჟორიტარის 139 შუამდგომლობა. მოქალაქეებს შუამდგომლობა გაეწიათ შემდეგ საკითხებზე:

1. ერთჯერადი ფულადი დახმარება - შუამდგომლობა გაეწია 17 მოქალაქეს,დაკმაყოფილდა 5 განცხადება, 8 არ დაკმაყოფილდა, 4 განხილვაშია
2. შეშით უზრუნველყოფა - შუამდგომლობა გაეწია 2 მოქალაქეს, 1 განცხადება დაკმაყოფილდა, 1 განხილვაშია
3. ასფალტის საფარის დაგება - შუამდგომლობა გაეწია 12 მოქალაქეს, 5 განცხადება დაკმაყოფილდა, დანარჩენზე მივიღეთ პასუხი, რომ გათვალისწინებული იქნება 2016 წლის ბიუჯეტის განხილვის დროს.
4. კორპუსების კეთილმოწყობა - შუამდგომლობა გაეწია 35 მოქალაქეს, 7 განცხადება დაკმაყოფილდა, დანარჩენი გათვალისწინებული იქნება 2016 წლის ბიუჯეტის განხილვის დროს.
5. ოპერაციის დაფინანსება - შუამდგომლობა გაეწია 9 მოქალაქეს, დაკმაყოფილდა 6 მოქალაქე, 3 განცხადება განხილვაშია
6. მუნიციპალური ტრანსპორტი - შუამდგომლობა გაეწია 2 მოქალაქეს, ორივე დაკმაყოფილებულია.
7. მედიკამენტებით დახმარება - შუამდგომლობა გაეწია 13 მოქალაქეს, დაკმაყოფილდა 7 განცხადება, 2-ზე მივიღეთ უარი, 4 განცხადება განხილვაშია
8. სასმელი წყლისა და კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება - შუამდგომლობა გაეწია 5 მოქალაქეს, დაკმაყოფილდა 1, ხოლო დანარჩენი გათვალისწინებული იქნება 2016 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას
9. ავარიული კორპუსი - შუამდგომლობა გაეწია 5 მოქალაქეს და განხილვაშია
10. დასაქმება - შუამდგომლობა გაეწია 23 მოქალაქეს, აქედან დასაქმდა 6
11. გაზიფიცირება - შუამდგომლობა გაეწია 4 მოქალაქეს და განხილვაშია
12. თელასი - შუამდგომლობა გაეწია 2 მოქალაქეს, აქედან დაკმაყოფილდა 1 მოქალაქე
13. სოციალური მომსახურების სააგენტო -შუამდგომლობა გაეწია 5 მოქალაქეს, დაკმაყოფილდა 1, განხილვაშია 4 განცხადება

14. არქიტექტურის სამსახური - შუამდგომლობა გაეწია 5 მოქალაქეს, არ დაკმაყოფილდა 2 განცხადება, დანარჩენი განხილვაშია

2015 წლის იანვარსა და თებერალში გვქონდა გასვლითი შეხვედრები ქვემო სამგორის რაიონის მაცხოვრებლებთან. გავეცანით თითოეულ უბანში არსებულ პრობლემებს (სტადიონი, სკვერი, კანალიზაცია, წყლის სისტემა, ტრანსპორტი და სხვა), მოვამზადეთ წერილობითი დასკვნები და ვაცნობეთ შესაბამის სამსახურებს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს რაიონში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების საყოფაცხოვრებო პირობები. ჩვენი ორგანიზებით ჩასახლებული დევნილების თითო წარმომადგენელი, მათი პრობლემების მოგვარების მიზნით, შევახვედრეთ დევნილთა სამინისტროს პასუხიმგებელ პირებს. მათ სისტემატურად აქვთ კონტაქტი დევნილთა სამინისტროს წარმომადგენლებთან და შეძლებისდაგვარად ეტაპობრივად ეწევათ დახმარება. კერძოდ, კაიროს ქ. 22-ში მდებარე შენობას, რომელშიც წლების განმავლობაში გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდნენ დევნილები, დეპუტატის აქტიური შუამდგომლობით უტარდება სარემონტო სამუშაოები. ქინძმარაულის 2 შეს. დევნილები ცხოვრობდნენ კერძო მესაკუთრის შენობაში და ემუქრებოდათ გამოსახლება. დეპუტატის შუამდგომლობით სამინისტროს მიერ ახლო მომავალში დაგეგმილია მათი ქირით გაყვანა.

მუდმივ რეჟიმში ვმართავთ სამუშაო შეხვედრებს GWP-ის წარმომადგენლებთან (ტექნიკური დირექტორის მოადგილე ომარ გოცირიძე, სადისპეჩერო სამსახურის უფროსი თემურ ჯანელიძე და ისანი-საგორის რაიონის უბნის უფროსი ლევან გაგნიძე). მათ ადგილზე გავაცანით აფრიკის დასახლებაში არსებული მძიმე მდგომარეობა. GWP-იმ მოამზადა ჭიჭინაძის მე-4 და მე-6 ჩიხების კანალიზაციისა და წყალგაყვანილობის პროექტი, რომელიც განხორციელდება წლის ბოლოს. მიმდინარეობს მოლაპარაკება ლორთქიფანიძის ქუჩის (ყოფ. კაირო) კანალიზაციის გაყვანილობის მოწყობაზე.

ქალაქის სატრანსპორტო სამსახურის მხარდაჭერით ნაწილობრივ მოვაგვარეთ მუნიციპალური ტრანსპორტის პრობლემა რაიონში. კერძოდ:

- მიკროავტობუსს #113 დაუგრძელდა მარშუტი ველის სასაფლაომდე.
- დაინიშნა ახალი ავტობუსის ხაზი #30, რომელიც მოძრაობს ქეთევან წამებულის გამზირიდან ლორთქიფანიძის ქუჩის გავლით ქიზიყის ქუჩის მიმართულებით.
- #72 ავტობუსს დილის გრაფიკი გაიზარდა ერთი საათით.

სამაჟორიტარო ოფისში ეტაპობრივად გვქონდა შეხვედრა ამხანაგობების თავმჯდომარეებთან. მათ წერილობით მოგვაწოდეს მათ საცხოვრებელ კორპუსებში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც გავითვალისწინებთ 2016 წლის ბიუჯეტის განხილვის დროს.

ქვემო სამგორის რაიონში ფუნქციონირებს 4 უფასო სასადილო. ადგილობრივ გავეცანით თითოეულ მათგანში არსებულ მდგომარეობას. გავესაუბრეთ სასადილოებში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს მომსახურებისა და კვების ხარისხის შესახებ.

დეპუტატის ინიციატივით ქიზიყის ქუჩის მაცხოვრებლებთან ერთად გაიმართა სამუშაო შეხვედრა სპორტისა და ახლგაზრდობის საქალაქო სამსახურის უფროს გიორგი არეშიძესთან, სადაც განიხილეს ქიზიყის ქუჩაზე სპორტული კომპლექსის აშენების საკითხი. გადაწყდა, რომ უახლოეს მომავალში დეპუტატის შუამდგომლობით აშენდება სტანდარტების შესაბამისი საფეხბურთო სტადიონი.

ჩემი ინიციატივით შეიქმნა სკოლის წარმატებულ მოსწავლეთა ,,სადისკუსიო კლუბი" რომლებშიც წარმოდგენილნი არიან სამაჟორიტარო ოლქში არსებული სკოლების წარჩინებული უფროსკლასელები, მოსწავლეთა სადისკუსიო კლუბი"- ის მიზანია რაიონში არსებული ახალგაზრდების პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე ერთად მსჯელობა და დისკუსია, ასევე მათი ჩართულობის ამაღლებას ხვადასხვა პროექტებში. მათთან ერთად მივიღეთ მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში:

- კალენდარული დღესასწაულები (ახალი წელი, აღდგომა, დედის დღე, 8 მარტი, გიორგობა, ბზობა) მივულოცეთ და საჩუქრები გადავეცით სოციალურად დაუცველ 60 ოჯახს.
- 124-ესაჯარო სკოლის ტერიტორიის გამწვანების მიზნით გამოვყავით 15 ძირი კვიპაროსის ხე. სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ერთად მივიღეთ გამწვანების აქციაში მონაწილეობა.
- აფრიკის დასახლებაში დავით ცეცხლაძის სახელობის სკვერში გაიმართა დასუფთავების აქცია, თბილისის გამწვანების საქალაქო სამსახურის, სამგორის რაიონის გამგეობის და საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით.
- მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის 124-ე საჯარო სკოლის უფროსკლასელ მოსწავლეებთან ერთად ვესტუმრეთ კოლეჯ ,,სპექტრს," სადაც სასწავლებლის ადმინისტრაციამ სტუმრებს კოლეჯის საქმიანობის, სტრატეგიული განვითარების, სამომავლო გეგმებისა და მნიშვნელობის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა.
- საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარესთან თამარ ტალიაშვილთან ერთად თბილისის მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის 124-ე საჯარო სკოლაში გამართულ თემატურ ინტელექტუალურ ვიქტორინაში მივიღეთ მონაწილეობა, ღონისძიების დასასრულს, ინტელექტუალურ შეჯიბრში გამარჯვებული ახალგაზრდების გუნდს მაისურები და სამახსოვრო საჩუქრები გადავეცით, პედაგოგიური კოლექტივი კი საკრებულოს სახელით მადლობის სიგელებით დავაჯილდოვეთ.
- მივიღეთ აქტიური მონაწილეობა აფრიკისა და ვარძიის სკვერში მერიის მიერ გამართულ იუმორინას კონცერტებზე

- 124-ე საჯარო სკოლაში დავესწარით დამსახურებული პედაგოგის თინა ონიანის კაბინეტის გახსნისადმი მიძღვნილ ღონისძიებას
- 152- საჯარო სკოლაში დავესწარით მასწავლებლის სადღესასწაულო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას
- ქვემო სამგორში მაცხოვრებელი 30 ბავშვი დავასწარით საბავშვო თეატრ „ჭინჭრაქას" მიერ გამართულ სპექლტაკზე „მზე ისევ ამოვა".
- 82-ე საჯარო სკოლაში დავესწარით ღონისძიებას ,,შემოდგომის გაცილება", სადაც სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს საქართველოს ყველა კუთხის ტრადიციები
- ჩვენი შუამდგომლობით სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა აფრიკის დასახლებაში მდებარე დავით ცეცხლაძის სახელობის სკვერს, სადაც გაიმართა ,,თბილისობა-2015"

ჩვენი ინიციატივით მოსკოვის გამზ. 5 კვარტალში აშენდა საბავშვო ბაგა-ბაღი, რომლის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, შეიქმნება აღსაზრდელთა 15-მდე ჯგუფი, მთლიანობაში კი ბაგა-ბაღი 500-მდე ბავშვისთვის სკოლამდელი განათლების მიცემას შეძლებს.ასევე ჩვენი ინიციატივით უახლოეს მომავალში აშენდება ჭიჭინაძის ქ. 1-ში მდებარე რკინიგზის ყოფილი 28-ე საბავშვო ბაგა-ბაღი.უკვე გამოვლენილია ტენდერში გამარჯვებული ფირმა შესაბამისი პროექტით.

ყოველი თვის ბოლოს გვაქვს სამუშაო შეხვედრა სამგორის რაიონის გამგებელთან, გამგეობის მიერ ქვემო სამგორის რაიონში მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ანალიზის მიზნით და განვიხილავთ არსებული მწვავე პრობლემების მოგვარების გზებს.

სამაჟორიტარო ოფისი ფუნქციონირებს სამუშაო დღეებში , სადაც მოქალაქეებს ვუწევთ შესაბამის დახმარებას.

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

  სახელდებისა და ნუმერაციის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ინტენსიურად თანამშრომლობს თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის, ქონების მართვის და კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურებთან, იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურთან", ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან.

მჭიდრო თანამშრომლების ფარგლებში 2015 წლის განმავლობაში ჩატარდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 6 სხდომა ხსენებული სამსახურის წარმომადგენელთა მონაწილეობით, სადაც განხილული იქნა ყველა ის საკითხი, რომელიც სახელდების, ნუმერაციის და გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი აბრების განთავსების პროცესს უფრო ეფექტურს გახდის.

- სხვა სახის ინფორმაცია

იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქის ადმინისტრაციული საზღვრების გაფართოებამ თბილისს შემოუერთა სოფლის ტიპის დასახლებები, სადაც რიგ შემთხვევებში გზები გრუნტითაა დაფარული და მოუწყობელია ქუჩისთვის დამახასიათებელი ინფრასტრუქტურა, გვიწევს ტერიტორიების ადგილზე დათვალიერება და საჭიროების შემთხვევაში ქუჩათა ქსელების მომზადება.

ასევე ადგილზე ხდება მოსახლეობის გამოკითხვა ისეთ განცხადებებზე საქმისწარმოების მომდინარეობისას, სადაც განმცხადებელი ან საინიციატივო ჯგუფი კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტისათვის ითხოვს სახელის ცვლილებას.

2015 წლის 10 თვის განმავლობაში ჩვენს მიერ დათვალიერდა დაახლოებით 30 ქუჩა და გამოიკითხა რამდენიმე ასეული ადამიანი.